იურიდიული დახმარების სამსახური

მის: დ. აღმაშენებლის გამზ. N140,
0112 თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 /32/ 292 00 55
ელ-ფოსტა: council@legalaid.ge
ვებ-გვერდი: www.legalaid.ge

იურიდიული დახმარების საბჭო

№ 83 „22" „აგვისტო" 2020 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული საზოგადოებრივი ადვოკატის გიორგი ონიანის მიერ გაწეული მომსახურეობის ანაზღაურების შესახებ

„იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტისა და „მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმეებზე ანგარიშგების წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 9 სექტემბრის N26 გადაწყვეტილებას მოთხოვნათა შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დაევალოს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ხარისხის შეფასების სამმართველოს შეისწავლოს მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული საზოგადოებრივი ადვოკატის გიორგი ონიანის მიერ წარმოდგენილი საქმიანობის შესახებ ანგარიში (საქმე 01/08-02-458) და მოამზადოს დასკვნა წარდგენილი ანგარიშისა და დოკუმენტაციის „მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ საზოგადოებრივ ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმეებზე ანგარიშგების წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 9 სექტემბრის N26 გადაწყვეტილებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობისა და ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის შესახებ და წარმოდგენილი ანგარიშისა და დოკუმენტაციის საბჭოს გადაწყვეტილებასთან შესაბამისობის შემთხვევაში, დაევალოს სამსახურის დირექტორს, რომ გიორგი ონიანს 01/08-02-458 საქმესთან დაკავშირებით მისცეს შესაბამისი ანაზღაურება;
2. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე: რამაზ ჩინჩალაძე

საბჭოს წევრები:

ზაზა ხარებავა

ბექა ძამაშვილი

პავლე აბაიაძე

ესმა ნორაკია

ირაკლი გვარამაძე

სოფო ჩაჩავა

იურიდიული დახმარების სამსახური
08. 09. 2020 წ.